„ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობა, როგორც პოლიტიკური და რელიგიური დომინაციის ინსტრუმენტი”

ლევან მეტრეველი



სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამაგისტრო პროგრამა

შუა საუკუნეების კვლევები

2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და

ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალიას

ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების

მაგისტრანტის ლევან მეტრეველის


განაცხადი

მე, სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ აღნიშნული თეზისი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. მასში არაა ასახული სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად გამზადებული ან/და დაცვისთვის წარდგენილი მასალები. ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული რაიმე ტექსტი სათანადო წესების დაცვის გარეშე.

პატივისცემით,

ლევან მეტრეველი

2026



რუკა 1. ლანგედოკი და პროვანსი 1200 წლისთვის, მართკუთხედით შემოსაზღვრული ტერიტორია აჩვენებს ტრანკაველების მიწებს.

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს, ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოიკვლიოს, როგორც ძალაუფლების განხორციელებისა და დომინაციის მოდელი შუა საუკუნეების ევროპაში. მისი მთავარი მიზანია აჩვენოს, თუ როგორ გადაიქცა კათარების წინააღმდეგ მიმართული კამპანია რელიგიური კონფლიქტიდან პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კონტროლის ფართომასშტაბიან მექანიზმად.

ნაშრომში განხილულია კათარების წარმოშობის საკითხი, მათი სოციალური სტრუქტურა და ლანგედოკის რეგიონის სპეციფიკა, რომელმაც სამხრეთ საფრანგეთი კათოლიკური ეკლესიის თვალში ერეტიკულ სივრცედ აქცია.

კვლევა ცდილობს წარმოაჩინოს ის პროცესი, რომლის მეშვეობითაც პაპის ხელისუფლებამ, განსაკუთრებით, ინოკენტი III-ის პონტიფიკატის პერიოდში, შექმნა ლანგედოკის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური და სამართლებრივი საფუძველი. ნამუშევარში მოცემულია ალბიგოლეთა ჯვაროსნული ლაშქრობის ძირითადი ეტაპები.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ინკვიზიციის ფორმირებასა და მის როლს კათარების საბოლოო განადგურების პროცესში. განხილულია დაკითხვის, აღსარებისა და ინფორმაციის შეგროვების მექანიზმები, რომლებმაც დროებითი სამხედრო კამპანია მუდმივ ინსტიტუციურ კონტროლად გარდაქმნა. ტექსტში აღნიშნულია მონსეგურის დაცემასთან დაკავშირებული ფაქტები და ინკვიზიტორთა საქმიანობა, როგორც რეპრესიული მმართველობის სისტემური ფორმა.

კვლევის დასკვნით ნაწილში დეტალურად გაანალიზებულია: ისტორიული წყაროებიდან კათარების გაქრობა და ამის ძირითადი მიზეზები; გამარჯვებული მხარის ნარატივის დომინაცია და ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობის გავლენა

ევროპული რეპრესიული პოლიტიკის განვითარებაზე. ტექსტში აგრეთვე, ნაჩვენებია, რომ მოცემული ლაშქრობა წარმოადგენდა კონტროლის სრულ ციკლს, რომელიც აერთიანებდა: დისკურსს, ძალადობას, ინსტიტუციურ კონტროლსა და ისტორიული მეხსიერების ფორმირებას, რომელმაც არსებითად შეცვალა საზოგადოების წარმოდგენა კათარების შესახებ საუკუნეების განმავლობაში.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში განიხილება, არა მხოლოდ რელიგიურ ომად, არამედ ეკლესიისა და სახელმწიფოს ძალაუფლების შერწყმისა და პოლიტიკური ცენტრალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრეცედენტად. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, სწორედ მის საფუძველზე გაგრძელდა კათოლიკური ეკლესიის საუკუნოვანი რეპრესიული საქმიანობა, რომელმაც არსებითად შეცვალა ევროპის რელიგიური და პოლიტიკური რეალობა.